

გიდი (გეოტურიზმის და ა.შ.) 112051
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

გიდი მიმართულებათაშორისი დარგებისა ან სპეციალობების მიმართულების ტურიზმის დარგის კვალიფიკაციაა. პროფესია არის მომსახურებაზე ორიენტირებული და გულისხმობს ცალკეული პირებისა და ტურისტული ჯგუფებისათვის ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებზე ინფორმაციის მიწოდებასა და თანხლებას. წარმოდგენილი სტანდარტის მიხედვით, გიდი უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ ტურისტებისათვის შემუშავებული ტურისტული მარშრუტისა და შესაბამისი პროგრამის განხორციელებას. გიდი ეწევა საექსკურსიო მომსახურებას საქართველოს და/ან მისი კონკრეტული რეგიონის მასშტაბით; ისტორიული, კულტურული, არქეოლოგიური ადგილების, ასევე ხუროთმოძღვრული ძეგლების, მუზეუმ-ნაკრძალების, დაცული ტერიტორიების, მუზეუმების, მუზეუმ-ნაკრძალებისა და ტურისტებისათვის საინტერესოდ მიჩნეულ ადგილებში, ასევე წარმართავს სპეციალიზირებულ ტურებს (კულტურული, ეკოლოგიური, სასოფლო, ღვინის, მომლოცველთა, აგრარული, ნადირობის, გასტრონომიული და სხვ.). გეგმავს და ახორციელებს მცირე ბიზნეს-პროექტებს, ასწავლის პროფესიულ სტუდენტებს. ამასთანავე, გიდი უზრუნველყოფს ტურისტული ჯგუფისათვის დაგეგმილი მომსახურების ხარისხის კონტროლს. გიდის პროფესია მოითხოვს ქართული და უცხო ენის, საქართველოს, მსოფლიო ისტორიისა და თანამედროვე პროცესების მაღალ დონეზე ცოდნას, უცხოელი ტურისტისთვის ტურპროდუქტის მიმზიდველად მიწოდებას, დახვეწილ საკომუნიკაციო და განვითარებულ ინტერპერსონალურ თვისებებს, კარგ მენეჯერებას, მოვალეობის გაცნობიერების უნარს, აგრეთვე, დროის სწორი ორგანიზების, მრავალფეროვან სიტუაციებსა და გეოგრაფიულ ადგილებთან ადაპტაციის უნარს. გიდი წარმოადგენს ტურისტთა მომსახურე გუნდის მნიშვნელოვან ფიგურას, რომლის კვალიფიკაციაზე დამოკიდებულია ტურის საერთო წარმატება და ქვეყნის დადებითად წარდგენა საერთაშორისო მასშტაბით.

II. დასაქმების სფერო

გიდის საქმიანობა უკავშირდება დამასაქმებელს ან ინდივიდუალურია. იგი შესაძლოა დასაქმდეს ტურისტულ სააგენტოში, ტუროპერატორ კომპანიაში, მუზეუმში, ნაკრძალების/დაცული ტერიტორიების, არქეოლოგიურ ან არქიტექტურულ ძეგლებთან არსებულ საექსკურსიო ბიუროებში, მუზეუმ-ნაკრძალებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, თვითდასაქმებით, მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად. ასევე, მას შეუძლია ასწავლოს სტუდენტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში.

III. დამატებითი მოთხოვნები

- მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და ასაკი - 18 წელი;
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

გიდის პროფესიული განათლება არის ორსაფეხურიანი (III, IV).თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დასტურდება პროფესიული დიპლომით.

გიდის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%. კურსდამთავრებულს ენიჭება გიდის (გეოტურიზმის და ა.შ.) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ადგილობრივი გიდი (ობიექტის, ქალაქის, რაიონის) და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

გიდის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 40 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.. კურსდამთავრებულს ენიჭება გიდის (გეოტურიზმის და ა.შ.) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/სპეციალიზირებული გიდი(ღვინის ტურის, ეკო, კულტურული და ა.შ) და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

V. გიდის (გეოტურიზმის და ა.შ.) კვალიფიკაციის აღმწერი

გიდის (გეოტურიზმის და ა.შ.) მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა. აცნობიერებს გართულბული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>	<p>იცის და გაცნობიერებული აქვს ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის სფეროსათვის დამახასიათებელი პროცესები, პრინციპები და კონცეფციები.</p> <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაგეგმილი ტურის ფარგლებში სამუშაოს დაგეგმვა-ორგანიზების თანმიმდევრობა და წესები • პროფესიული ეთიკის დაცვით, სწორი მენეჯმენტისა და სტუმართმასპინძლობის პრინციპებით ტურისტული ჯგუფის მართვა • მომსახურების არსი, წესები და ნორმები, გააზრებული აქვს მომსახურების სფეროს თანამშრომლების როლი და სამუშაოსათვის აუცილებელი მახასიათებლები; • უცხო კულტურის თვისებების მქონე მომხმარებლის (რასა, ეროვნება, მოქალაქეობა, სოციალური სტატუსი, ასაკი) მომსახურების სპეციფიკა; • სტუმრის ჯგუფური და ინდივიდუალური მომსახურება;
-------------------------------------	---	--

		<ul style="list-style-type: none"> • უსაფრთხოების წესები და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა • ტურისტული ჯგუფის ტრანსპორტით გადაადგილებასთან, კვებასა და ღამისთევასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების წესები და პროცედურები • ფლობს ზუსტი ინფორმაციას ქვეყნის მასშტაბით სარკინიგზო, საავტომობილო (მ.შ. ავტობუსისა და სამარშრუტო ტაქსების) და საჰაერო მიმოსვლის გზების და რეგულარული გადაადგილების მარშრუტების, საერთაშორისო და შიდა ფრენების განრიგის, საქართველოს აეროპორტების, ავტოსადგურებისა და რკინიგზის მუშაობის სქემის შესახებ <ul style="list-style-type: none"> • ტურის გამდლოლის მეთოდოლოგია. • ტურისტებისათვის ინფორმაციის გადაცემის ზოგადი პრინციპები • მსოფლიო, საქართველოს და რეგიონის ისტორია • მსოფლიო, საქართველოს და რეგიონის გეოგრაფია • მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის პრინციპები • ტურის ჩატარების შესახებ ანგარიშის მომზადების თანმიმდევრულობა და ფორმები • შრომის კანონმდებლობა და საქმიანობას აწარმოებს შრომი თი ხელშეკრულების ფარგლებში <p style="text-align: center;">საქართველოს ისტორია და თანამედროვეობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის ძირითადი საკითხები; <ul style="list-style-type: none"> • ლეგენდები საქართველოს შესახებ; • საქართველოში გავრცელებული რელიგიები; • კავკასია და კავკასიელები: მეზობელი ქვეყნების ისტორიის, გეოგრაფიის, რელიგიის, კულტურისა და ხელოვნების საფუძვლები; • საქართველოში მცხოვრები დიდი და მცირე ეთნიკური ჯგუფები, მათი დასახლებები და თავისებურებები; • საქართველოს დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა და ქვეყანაში მიმდინარე ძირითადი რეფორმები (ზოგადი ინფორმაცია); • ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა; <p>აქვს საბაზისო და მეთოდური ცოდნა სპეციალობაში</p> <ul style="list-style-type: none"> • დეტალური ცოდნა იმ რეგიონის, რაიონის, ობიექტის შესახებ, სადაც ატარებს ექსკურსიას; • რეგიონის, რაიონის, ობიექტის თავისებურებების გათვალისწინება ექსკურსიის მომზადებისა და ჩატარებისას. • ექსკურსიის მომზადებისა და ჩატარების მეთოდიკა; • ჩვენების მეთოდური ხერხები და მათი გამოყენება ექსკურსიაში
--	--	---

		<ul style="list-style-type: none"> • თხრობის მეთოდური ხერხები და მათო გამოყენება პრაქტიკაში • ახალი ექსკურსიის მომზადების პრინციპები; <p>იგნობს, გააზრებული აქვს და აცნობიერებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მომსახურების სფეროს როლს ბიზნესში; • სფეროს კანონმდებლობას და პროფესიული ეთიკის ნორმებს • შრომის კოდექსს და თავის საქმიანობაში იცავს მას • საკუთარ უფლებებს და მოვალეობებს და პატივს სცემს სხვისას <p>ფლობს ძირითად ინფორმაციას:</p> <ul style="list-style-type: none"> • კონკრეტული რეგიონის ისტორიულ, არქიტექტურულ ძეგლებზე, ციხე- სიმაგრეებზე, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებზე, არქეოლოგიურ და ადგილობრივ მუზეუმებში დაცულ ექსპონატებზე, მათ შორის იმ ქვეყნის კულტურული, მენტალური, რელიგიური თავისებურებების შესახებ, რომელი ქვეყნის ჯგუფიცაა წარმოდგენილი ტურში • ქართული კულტურის, ეთნოსის, ეროვნული და რეგიონული სამზარეულოს თავისებურებებზე • კონკრეტული რეგიონის ლანდშაფტზე, რესურსებზე, ფლორასა და ფაუნაზე, კურორტებსა და დასასვენებელ ადგილებზე, დაცულ ტერიტორიებზე, მღვიმეებზე და მათ თავისებურებებზე • რეგიონის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესახებ • საქართველოში არსებული საფრთხის სახეების (ცხოველები, ქვეწარმავლები, სტიქია, ავდარი, ქვათაცვენა, ზვავი, მეწყერი, წყალდიდობა, კრიმინალური სიტუაცია) შესახებ;
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საექსკურსიო ტექსტის მომზადება ადგილობრივი ტურისტული მარშრუტისათვის; • ექსკურსიის ჩატარება, ტურის განხორციელება წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად; • რუკის გამოყენება; • დაგეგმილ მარშრუტზე ამომწურავი ინფორმაციის საინტერესოდ გადაცემა და შესაბამისი ახსნა-განმარტება; • ადგილობრივ ღირშესანიშნაობებზე ინფორმაციის მუდმივი განახლება; <ul style="list-style-type: none"> • უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების დაცვა; • ტურისტთა დროულად გაფრთხილება; • ტურის ჩატარების შესახებ ანგარიშის მომზადება; • ტუროპერატორ კომპანიასთან მუშაობის კოორდინაცია/ტურის მსვლელობაში

		<p>მოულოდნელი ცვლილების შეტანის აუცილებლობის განხილვა დამკვეთთან;</p> <ul style="list-style-type: none"> • მარშრუტის დეტალების, ფაქტების, სტატისტიკური ინფორმაცია, რუკების, სატრანსპორტო მარშრუტებისა და მოძრაობის გრაფიკების შესახებ ინფორმაციის დამახსოვრება და გამოყენება; • უსაფრთხოების წესების დაცვა და პირველადი/ექიმადელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; • მრავალფეროვან სიტუაციებში, მათ შორის სტრესულ, სახიფათო, კრიტიკულ და ფორსმაჟორულ სიტუაციებში ემოციური სტაბილურობისა და ადექვატური ქმედების უნარის შენარჩუნება • ტურის მსვლელობის ხარისხის კონტროლი; • საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტირების ალტერნატიული საშუალებების გამოძიებასთან დაკავშირებით აუცილებელი ცვლილებების დამკვეთთან შეთანხმება; • რუკის კითხვა და საჭიროების შემთხვევაში რუკის ეფექტურად გამოყენება; • სხეულის, ხმის და ემოციების ფლობა; • მიკროფონის, სხვა აუდიო-ვიდეო ტექნიკის სწორად და მიზნობრივად გამოყენება; • სპეციალური ფორმების და ცხრილების შევსება და ანგარიშისათვის გამოყენება; •
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია :</p> <ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებლად მოქმედება, საკუთარი ფუნქციების, მოვალეობებისა და ვალდებულებების ფარგლებში; • გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება; კითხვებზე ადექვატური პასუხის გაცემა; რჩევის მიღება და საყვედურის გაცნობიერება; • კოლეგების მითითებების და შენიშვნების მიღება, გათვალისწინება და სათანადო დასკვნის გამოტანა ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით; • პრობლემების შეფასება ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა; • ამა თუ იმ ქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეების განჭვრეტა, განსჯა, ინფორმაციის გაანალიზება და მისაღები გადაწყვეტილების შერჩევა; • სტუმრებთან პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში არგუმენტირებული ახსნა-განმარტება; გაუთვალისწინებელი პრობლემის წარმოქმნისას, სტუმრის პრეტენზიის შემთხვევაში, ადექვატური გადაწყვეტილების მიღება; • სამუშაოსათვის დამახასიათებელი ელემენტებისა და მომსახურების განსაზღვრული ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულება. • საქმიანობის კოორდინირება მენეჯერთან, მუშაობა პარტნიორთან და მისი დახმარება; • ცვალებად გარემოსა და სიტუაციებისადმი შემგუებლობა, სამუშაო პროცესებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის დისკუსიებში მონაწილეობა და

		<p>წინადადებების შეთავაზება;</p> <ul style="list-style-type: none"> • დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით სამუშაოების განხორციელება/შესრულების ანალიზი • ტურის მსვლელობის ხარისხზე ზრუნვა/მომსახურების გაუმჯობესებისათვის დამატებითი ინფორმაციის მოძიება-მიწოდება; • გადაწყვეტილების მიღების მიზნით არსებული ინფორმაციის ანალიზი; • დროის მართვის პრინციპების რეგულარულად და ეფექტურად გამოყენება; <p>აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სიტუაციის ანალიზისა და პრობლემის მოგვარების უნარი; წინდახედულება (შეცდომის პრევენცია და მოგვარება); • ექსტრემალურ, კონფლიქტურ, სტრესულ და სახიფათო სიტუაციებში თავდაჭერისა და ადექვატური ქმედების უნარი.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>აქვს :</p> <ul style="list-style-type: none"> • კარგი საკომუნიკაციო და ინტერპერსონალური თვისებები; • მკაფიო და გამართული მეტყველება, სწორი არტიკულაცია; დეტალურად ახსნისა და განმარტების მიცემის, საინტერესოდ თხრობის უნარი. • შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან კომუნიკაციის უნარი; <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქართულ და უცხო ენაზე/ენებზე გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში დიალოგის წარმართვა, საჭირო ინფორმაციის გაგება, გააზრება, მოძიება. • ქართულ და უცხო (ერთ ან ორ) ენაზე ტექსტის გადაცემა სრულყოფილად, გამართულად, მოკლედ, მკაფიოდ, მარტივად, ხანგრძლივად, დროულად • ინტერნეტით, სპეციალური ლიტერატურის საშუალებით და კოლეგების გამოკითხვით საჭირო ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, დასწავლა, ფაქტების, მოვლენების სტატისტიკური ინფორმაციის დამახსოვრება და გადაცემა • ინფორმაციის მოძიების მიზნით საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინტერნეტის, სხვადასხვა სახის ლიტერატურის, ენციკლოპედიების, ცნობარების გამოყენება; • გუნდური მუშაობა, აქვს კოლეგებთან ინფორმაციის გაცვლის მზაობა • სტუმრის თხოვნის ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გაგება, გააზრება და საჭიროებების დაზუსტება; წარმოქმნილი პრობლემის შესახებ ინფორმაციის დეტალური და ამომწურავი მიწოდება. • იყოს ტოლერანტული უცხო კულტურისა და რელიგიის მიმართ • გამართულად, სწორად შეადგინოს სიტყვიერი და წერილობითი ანგარიში • ტუროპერატორი კომპანიისადმი მიმართვის მომზადება, შესრულებული სამუშაოს, არსებული პრობლემებისა და მათი მოგვარების მიზნით. • ტურის მიმდინარეობის პროცესში გარკვეული ინფორმაციის ჩანიშვნა, ტურისტთა

		<p>შენიშვნების ჩაწერა და ანგარიშისთვის ამ ინფორმაციის გამოყენება</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურის მიმდინარეობისას შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება • იყოს კომუნიკაბელური, კონტაქტური, კორექტული, გაწონასწორებული, • საქმიანობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციფიკის გათვალისწინება, • არასტანდარტული შემთხვევისას ტურისტთა დროულად გაფრთხილება, პრობლემური სიტუაციების პრევენცია და მოგვარება • ადგილობრივ მოსახლეობასთან, სასაზღვრო სამსახურთან კომუნიკაცია, თანამშრომლობა; • რჩევის მიღება და საყვედურის გაცნობიერება; • მოლაპარაკების/კონფლიქტების მართვა და სიტუაციის განმუხტვა • იცის სამედიცინო კლინიკების მდებარეობა და პირველადი სამედიცინო დახმარების წესები; საჭირო SOS ნომრები.
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია კურიკულუმით განსაზღვრული პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ნაწილის ათვისება და შესწავლა, ნასწავლი მასალის გადმოცემა, შეფასების მიღება • შეუძლია ლიტერატურის და წყაროების მოძიება, დამუშავება და ანალიზი; • შეუძლია საკუთარი სწავლის დაგეგმვა, ინფორმაციის მუდმივი განახლება, თვითგანვითარებისა და ცოდნის გაღრმავების მიმართულებით რეალისტური სასწავლო ამოცანების დასახვა, სწავლის შესაძლებლობათა ძიება; • აქვს ახალი იდეებისა და ტექნოლოგიების მიმართ მაღალი მიმდებლობის გამომუშავების უნარი; •
<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცნობს ტურისტული ბიზნესის სფეროს, გააზრებული აქვს მომსახურების სფეროს როლი ბიზნესში; • წარმოადგენს აქვს სტუმართმასპინძლობის ძირითად პრინციპებზე, გააჩნია პროფესიული ეთიკა, გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოვალეობები, ფუნქციები და პასუხისმგებლობა; • იცავს უცხო კულტურის მომხმარებლების მომსახურების სპეციფიკას; • იცავს და ერთგულია უწყვეტი განათლების პრინციპების მიმართ • არის დისციპლინირებული, თავაზიანი და ყურადღებიანი; • ახასიათებს ორგანიზებულობა, გულისყურით ეკიდება სტუმრის თხოვნას; • არის ტოლერანტული და ემოციურად სტაბილური. აქვს კარგი ცოდნა საკუთარი ობიექტის, ქვეყნის იმ ნაწილის შესახებ, სადაც უფლებამოსილია ჩაატაროს ექსკურსია; • ახასიათებს შემოქმედებითობა და ლიდერობის უნარი; • ავლენს საკუთარი ქვეყნის კანონებისა და ტრადიციების პატივისცემას; • იცავს გარემოს და ხელს უწყობს გარემოსდაცვითი ღონისძიებების

		<p>განხორციელებას</p> <ul style="list-style-type: none"> • იცავს უსაფრთხოების წესებსა და პირადი ჰიგიენის ნორმებს; • მუდმივად ზრუნავს ტურის მსვლელობის ხარისხზე. • იცავს შრომით კანონმდებლობას
--	--	--

გიდის (გეოტურიზმის და ა.შ.) მეთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე პრინციპებზე დამყარებული ცოდნა; აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს;</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცის და გაცნობიერებული აქვს ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის სფეროსათვის დამახასიათებელი პროცესები, პრინციპები და კონცეფციები; • იცის: • სტუმართმასპინძლობის ძირითადი პრინციპები; • მომსახურების არსი და ნორმები; • მომსახურების სფეროს როლი ტურისტულ ბიზნესში; • მომსახურების სფეროს თანამშრომლების როლი, სამუშაოსათვის აუცილებელი მახასიათებლები; • უცხო კულტურის თვისებების მქონე მომხმარებლის (რასა, ეროვნება, მოქალაქეობა, სოციალური სტატუსი, ასაკი) მომსახურების სპეციფიკა; • სტუმრის ჯგუფური და ინდივიდუალური მომსახურება; • ეტიკეტი და პროფესიული ეთიკა. • ტუროპერატორის მიერ ან დამოუკიდებლად დაგეგმილი ტურის ფარგლებში სამუშაოს დაგეგმვა/ორგანიზების თანმიმდევრობა და წესები • ტურისტული ჯგუფის ტრანსპორტით გადაადგილებასთან, კვებასა და ღამისთევასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების წესები და პროცედურები • ქვეყნის მასშტაბით სარკინიგზო, საავტომობილო (მ.შ. ავტობუსისა და სამარშრუტო ტაქსების) და საჰაერო მიმოსვლის გზები და რეგულარული გადაადგილების მარშრუტები, საერთაშორისო და შიდა ფრენების განრიგი, საქართველოს აეროპორტების, ავტოსადგურებისა და რკინიგზის მუშაობის სქემა • ტურის ჩატარების შესახებ ანგარიშის მომზადების თანმიმდევ
-------------------------------------	--	---

		<p>რობა და ფორმები</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურის გაძღოლის მეთოდოლოგია და ტურისტებისათვის ინფორმაციის გადაცემის ზოგადი პრინციპები; • სპეციალიზირებული ტურის/ექსკურსიის (ღვინის, მომლოცველთა, კულტურული, ეკოლოგიური, აგრარული, გასტრონომიული და სხვ.) ჩატარების მეთოდოლოგია • ტურის სპეციფიკის (ღვინის, მომლოცველთა, კულტურული, ეკოლოგიური, აგრარული, გასტრონომიული და სხვ.) შესაბამისი ეკონომიკური საკითხები (საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა, შესაბამისი იმპორტ-ექსპორტის მაჩვენებლები) • დაგეგმილი ტურის ფარგლებში სამუშაოს დაგეგმვა/ორგანიზების თანმიმდევრობა და წესები • პროფესიული ეთიკის დაცვით, სწორი მენეჯმენტისა და სტუმართმასპინძლობის პრინციპებით ტურისტული ჯგუფის მართვა • მომსახურების წესები და ნორმები, • უსაფრთხოების წესები და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა • ტურისტული ჯგუფის ტრანსპორტით გადაადგილებასთან, კვებასა და ღამისთევასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების წესები და პროცედურები • მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის პრინციპები • ტურის ჩატარების შესახებ ანგარიშის მომზადების თანმიმდევრულობა და ფორმები • შრომის კანონმდებლობა და საქმიანობას აწარმოებს შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში; <p>აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სრულყოფილი ცოდნა სპეციალობაში (კულტურული, ეკოლოგიური, აგრარული, სასოფლო, გასტრონომიული/გურმანთა, მომლოცველობითი, სათავგადასავლო და თანამედროვე ტურიზმის სხვა კონკრეტული მიმართულებები, რომელთა რეალიზაციის შესაძლებლობა აქვს/ექნება საქართველოს და მის ცალკეულ რეგიონებს) • დეტალური ცოდნა არჩეულ ვიწრო სპეციალობაში; • ტურის სპეციფიკის (ღვინის, მომლოცველთა, სამთო/სალაშ ქრო, კულტურული, ეკოლოგიური, აგრარული, გასტრონომიული და
--	--	---

		<p>სხვ.) შესაბამისი და ტურთან დაკავშირებული სრული და ამომწურავი ინფორმაცია (დეტალური ცოდნა არჩეულ ვიწრო სპეციალობაში; საქართველოში და საზღვარგარეთ დაგროვილი გამოცდილების გაზიარებისა და გადმოღების უნარი; სპეციალობის მიხედვით მიმართულების ანალიზის უნარი; სპეციალობის თავისებურების გათვალისწინება ექსპურსიის მომზადებისა და ჩატარებისას) .</p> <p>აქვს ინფორმაცია</p> <ul style="list-style-type: none"> • ქვეყნის მასშტაბით სარკინიგზო, საავტომობილო (მ.შ. ავტობუსისა და სამარშრუტო ტაქსების) და საჰაერო მიმოსვლის გზებისა და რეგულარული გადაადგილების მარშრუტების, საერთაშორისო და შიდა ფრენების განრიგის შესახებ; • საქართველოს აეროპორტების, ავტოსადგურებისა და რკინიგზის მუშაობის სქემის შესახებ; • <p>აქვს ზოგადი ცოდნა</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიასთან დაკავშირებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამოყენებით პროფესიული განათლების სტუდენტთა სწავლების მეთოდებისა; • პედაგოგიკის და ანდრაგოგიკის ძირითადი პრინციპების, იცნობს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს სწავლებაზე და იყენებს ამ ცოდნას სწავლების პროცესში; • მოტივაციის ამალღებისა და ეფექტური კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდისა და იყენებს ამ ცოდნას საკუთარ პრაქტიკაში; • ინკლუზიური განათლების პრინციპები და იყენებს მას საკუთარი საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაში; • იცის და იყენებს სტუდენტთა შეფასების სხვადასხვა ფორმას სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების თავისებურებების გამოყენებით • ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებისა და განვითარების პრინციპები და სამართლებრივი საფუძვლები <p>იცნობს, გააზრებული აქვს და აცნობიერებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სფეროს კანონმდებლობას და პროფესიული ეთიკის ნორმებს • შრომის კოდექსს და თავის საქმიანობაში იცავს მას • საკუთარ უფლებებს და მოვალეობებს და პატივს სცემს სხვისას • სტუდენტის შეფასების ძირითად პრინციპებს,
--	--	---

		<ul style="list-style-type: none"> • პედაგოგიურ და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ბაზას. <p>ფლობს ძირითად ინფორმაციას:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოსა და კონკრეტული რეგიონის ისტორიულ, არქიტექტურულ ძეგლებზე, ციხე-სიმაგრეებზე, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებზე, არქეოლოგიურ და ადგილობრივ მუზეუმებში დაცულ ექსპონატებზე, მათ შორის იმ ქვეყნის კულტურული, მენტალური, რელიგიური თავისებურებების შესახებ, რომელი ქვეყნის ჯგუფიცაა წარმოდგენილი ტურში <ul style="list-style-type: none"> • ქართული კულტურის, ეთნოსის, ეროვნული და რეგიონული სამზარეულოს თავისებურებებზე • საქართველოს და კონკრეტული რეგიონის ლანდშაფტზე, რესურსებზე, ფლორასა და ფაუნაზე, კურორტებსა და დასა სვენებელ ადგილებზე, დაცულ ტერიტორიებზე, მღვიმეებზე და მათ თავისებურებებზე • ქვეყნისა და რეგიონის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესახებ <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს და კონკრეტული რეგიონის ტრანსპორტის და სავალი გზების, საზღვრების შესახებ, • ტურისტის დაგეგმილი რეგიონის სასტუმროებისა და ღამის გასათევი ადგილების და იქ არსებული პირობების შესახებ ; • საქართველოში არსებული საფრთხეებისა (ცხოველები, ქვეწარმავლები, სტიქია, კრიმინალური სიტუაცია, ტრანსპორტის მოძრაობა, ეპიდემია, ალერგიული მცენარეულობა ან საკვები) და პირველადი სამედიცინო დახმარების წესების შესახებ;
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში ინფორმაციის სანდო წყაროების გამოყენება, წამოჭრილი სპეციფიური ამოცანის დასაძლევად სტრატეგიის შემუშავება და მიღებული შედეგების შეფასება შესრულებული სამუშაოს გასაუმჯობესებლად</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაგეგმილი ტურის ფარგლებში სამუშაოს დაგეგმვა/ორგანიზება • საექსკურსიო ტექსტის მომზადება; ტურისტული მარშრუტისა- თვის, ასევე ტურისტული ჯგუფისათვის ძირითადი ან დამატე- ბითი ინფორმაციის მოძიება; • ჩაატაროს სპეციალიზირებული (ღვინის, მომლოცველთა, კულტურული, ეკოლოგიური, აგრარული, გასტრონომიული და სხვ.) ტური/ექსკურსია დადგენილი მარშრუტით; • გადასცეს ჯგუფის წევრებს ტურის სპეციფიკის (ღვინის, მომლოცველთა, სამთო/სალაშქრო, კულტურული, ეკოლოგიური, აგრარული, გასტრონომიული და სხვ.) შესაბამისი და ტურთან დაკავშირებული სრული და ამომწურავი ინფორმაცია

		<ul style="list-style-type: none"> • ტურისტული ჯგუფის მართვა პროფესიული ეთიკის დაცვით • ტურის განხორციელება დაგეგმილი განრიგის შესაბამისად • ტურისტებისათვის ინფორმაციის გადაცემა • ტურის ჩატარების შესახებ ანგარიშის მომზადება • სამუშაოთა პრიორიტეტულობისა და მოქმედების თანმიმდევრობის სწორად განსაზღვრა, • საქმიანობის მოკლე და ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი სამუშაო გრაფიკის შედგენა; • სამუშაოსათვის დამახასიათებელი რუტინული ელემენტებისა და განსაზღვრული ვალდებულებების დაგეგმვა/შესრულება; • ტუროპერატორ კომპანიასთან მუშაობის კოორდინაცია/ტურის მსვლელობაში მოულოდნელი ცვლილების შეტანის აუცილებლობის განხილვა დამკვეთთან. • საკუთარი და სხვისი დროის მენეჯმენტის, პასუხისმგებლობის კოორდინირება და კონცენტრირება • მარშრუტის დეტალების, ფაქტების, სტატისტიკური ინფორმაციის, რუკების, სატრანსპორტო მარშრუტებისა და მოძრაობის გრაფიკების დამახსოვრება; • უსაფრთხოების წესების დაცვა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა • მრავალფეროვან სიტუაციებში, მათ შორის სტრესულ, სახიფათო, კრიტიკულ და ფორსმაჟორულ სიტუაციებში შეინარჩუნოს ემოციური სტაბილურობა და ადექვატური ქმედების უნარი; • ტურის მსვლელობის ხარისხის კონტროლი; ღირშესანიშნაობებზე ინფორმაციის მუდმივი განახლება; • კვების ორგანიზება /სტუმართა კვების დამტკიცებული გეგმის შესაბამისად განხორციელება; • ღამისთევის (სასტუმროს) ორგანიზება (სტუმართა განთავსების დამტკიცებული გეგმის შესაბამისად განხორციელება); • ტურისთვის დაგეგმილი რეგიონის სასტუმროებისა და ღამისგასათევი ადგილების და იქ არსებული პირობების შესახებ სრული ინფორმაციის მოძიება და საჭიროებისამებრ გამოყენება • სასტუმროსა და ტრანსპორტში ადგილების რაოდენობის, ბილეთებისა და შეკვეთების საფასურის გაანგარიშება. • დამკვეთის მიერ შერჩეული ტრანსპორტით გადაადგილების უზრუნველსაყოფად დროისა და სამუშაო გრაფიკის შეთანხმება/განხორციელება
--	--	--

		<ul style="list-style-type: none"> • საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტირების ალტერნატიული საშუალებების და აუცილებელი ცვლილებების დამკვეთთან შეთანხმება • კვების ობიექტებთან დროისა და სტუმართა კვების თავისებურებების შეთანხმება-ორგანიზება; • განსხვავებული ფულადი ერთეულების კონვერტაციის გამოყენება; • რუკის კითხვა და საჭიროების შემთხვევაში რუკის ეფექტურად გამოყენება; • სხეულის, ხმის და ემოციების ფლობა; • ღირშესანიშნავი ადგილების შესახებ, ასევე ახალი მარშრუტების შემთხვევაში ინფორმაციის განახლება; • მიკროფონის სწორად და საჭიროებისამებრ გამოყენება; • გამოთვლების შესრულება როგორც ზეპირად, ასევე კალკულატორის ან კომპიუტერის გამოყენებით; • სპეციალური ფორმების და ცხრილების შევსება და ანგარიშისათვის გამოყენება. • პროფესიული განათლების სტუდენტთა სწავლება სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებით • შექმნას უსაფრთხო, კეთილგანწყობილი და ორგანიზებული სასწავლო გარემო • გამოიყენოს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საგნის/პროფესიული მოდულის ეფექტურად სწავლების მიზნით; შეადგინოს და განახორციელოს მცირე სამეწარმეო ბიზნეს პროექტები • სამუშაოს პროცესში წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტის მიზნით სხვადასხვა იდეების განხილვა; • სამუშაო საჭიროებათა განსაზღვრაში კვლევის მეთოდოლოგიების გამოყენება; • სამუშაო ადგილზე არსებული ტექნოლოგიის გამოყენება და არსებული ინფორმაციის დოკუმენტირება; • კლიენტებთან, თანამშრომლებთან ან სხვა პერსონალთან ურთიერთობისას სამუშაო ადგილზე არსებული ტექნოლოგიების გამოყენება; • პერსონალური სამუშაო ამოცანების დასახვა, მონიტორინგი და შესრულება;
--	--	---

<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიური პრობლემის გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებლად მოქმედება, მუშაობის საკუთარი სტილის შემუშავება, საკუთარი ფუნქციების, მოვალეობებისა და ვალდებულებების გაცნობიერება; • გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება; • რჩევის მიღებისა და საყვედურის გაცნობიერება; კოლეგების მითითებების და შენიშვნების მიღება, გათვალისწინება და სათანადო დასკვნის გამოტანა ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით. • პრობლემების გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღების უნარი: პრობლემების შეფასება ანალიზი და სათანადო დას-კვნების გამოტანა, ექსტრემალურ, კონფლიქტურ, სტრესულ და სახიფათო სიტუაციებში თავდაჭერისა და ადექვატურ-ქმედების უნარი; მათ გადასაჭრელად სხვადასხვა ტექნიკურ-მეთოდური საშუალებებით სარგებლობა • ამა თუ იმ ქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეების განჭვრეტა, განსჯა, ინფორმაციის გაანალიზება და მისაღები გადაწყვეტილების შერჩევა; • სტუმრებთან პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში არგუმენტირებული ახსნა-განმარტება; გაუთვალისწინებელი პრობლემის წარმოქმნისას, სტუმრის პრეტენზიის შემთხვევაში, ადექვატური გადაწყვეტილების მიღება; მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით, სტუმრის საჩივრის შემთხვევაში, სტუმრის კეთილგანწყობის შენარჩუნება და პრობლემის აღმოფხვრის მცდელობა • სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების სტუმრის სურვილების განსაზღვრა და მომსახურების თაობაზე დამსაქმებლის ინფორმირება; • აქვს მომხმარებლისგან მიღებული ინფორმაციის იდენტიფიცირების და კატეგორიებად დაყოფის უნარი; ამოცანის გადასაწყვეტად გარკვეული მიდგომების შემუშავების და მიღებული შედეგების ანალიზის უნარი; • გააჩნია საკუთარი სამუშაოს ორგანიზების და სწორედ დაგეგმვის უნარი; შეუძლია როგორც გუნდში, ასევე დამოუკიდებლად მუშაობა, ხელმძღვანელთან ან კოლეგებთან ერთად დღის ან დროის უფრო ხანგრძლივ მონაკვეთში შესასრულებელი
------------------------------	---	--

		<p>სამუშაოების დაგეგმვა;</p> <ul style="list-style-type: none"> • სამუშაოსათვის დამახასიათებელი ელემენტებისა და მომსახურების განსაზღვრული ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულება და სამუშაოების კოორდინაცია; საქმიანობის კოორდინირება მენეჯერთან. • სიტუაციური ანალიზის საფუძველზე პერსონალური მიზნების განსაზღვრა; • სამუშაო დავალებისა და მისი შედეგების შესახებ ანგარიშების და/ან მათი შეფასების მიზნით სხვებთან ერთად მუშაობა; • სამუშაო ადგილზე დროის ნებისმიერ მომენტში უსაფრთხოე ბის, პროდუქტიულობის, ხარისხის, და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად სამუშაო რისკების განსაზღვრა, შესწავლა და პრიორიტეტულობის დადგენა; იდეების ქმედებად გადაქცევა;
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში; ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქართულ და უცხო (ერთ ან ორ) ენაზე ტექსტის გადაცემა სრულყოფილად, გამართულად, მოკლედ, მკაფიოდ, მარტივად, ხანგრძლივად, დროულად • ინტერნეტით, სპეციალური ლიტერატურით და კოლეგებთან ურთიერთობით საჭირო ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, დასწავლა, ფაქტების, მოვლენების სტატისტიკური ინფორმაციის დამახსოვრება და გადაცემა • ინფორმაციის მოძიების მიზნით საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინტერნეტის, სხვადასხვა სახის ლიტერატურის, ენციკლოპედიების, ცნობარების გამოყენება; • გუნდური მუშაობა, აქვს კოლეგებთან ინფორმაციის გაცვლის მზაობა; • განავითაროს კვალიფიციური ბიზნეს კომუნიკაცია დამკვეთებთან, პარტნიორებთან, კოლეგებთან და კლიენტებთან • საჭირო ბაზების მონაცემების გამოყენება და ინოვაციური მეთოდების ადაპტაციასა და დანერგვაზე ზრუნვა; • იყოს ტოლერანტული უცხო კულტურისა და რელიგიის მიმართ; • გამართულად, სწორად შეადგინოს სიტყვიერი და წერილობითი ანგარიში; • ტუროპერატორი კომპანიისადმი მიმართვის მომზადება, შესრულებული სამუშაოს, არსებული პრობლემებისა და მათი მოგვარების ინფორმირების მიზნით; • ტურის მიმდინარეობის პროცესში გარკვეული ინფორმაციის

		<p>ჩანიშვნა, ტურისტთა შენიშვნების ჩაწერა და ანგარიშისთვის ამ ინფორმაციის გამოყენება;</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურის მიმდინარეობისას შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება; • მოიძიოს ინფორმაცია ელექტრონული და ბეჭდვითი წყაროებიდან, ასევე პრაქტიკულად, ზეპირი წყაროებიდან; • იყოს კომუნიკაბელური, კონტაქტური, კორექტული, გაწონასწორებული; • საქმიანობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციფიკის გათვალისწინება; • შრომითი ხელშეკრულების პირობების დაცვა; • არასტანდარტული შემთხვევისას ტურისტთა დროულად გაფრთხილება, პრობლემური სიტუაციების პრევენცია და მოგვარება; • ადგილობრივ მოსახლეობასთან, სასაზღვრო სამსახურთან კომუნიკაცია, თანამშრომლობა; • რჩევის მიღება და საყვედურის გაცნობიერება; • მოლაპარაკების/კონფლიქტების მართვა და სიტუაციის განმუხტვა • იცის სამედიცინო კლინიკების მდებარეობა და პირველადი სამედიცინო დახმარების წესები; საჭირო SOS ნომრები; • სამუშაოს შედეგების და/ან ნებისმიერი პრობლემის შესახებ კომუნიკაცია და/ან ანგარიშგება; • ეფექტური კომუნიკაცია როგორც ზეპირად ასევე წერილობით; • სამუშაოს პროცესში საჭიროების ან პრიორიტეტის გამო წარმოქმნილ კონფლიქტებთან დაკავშირებით მოლაპარაკების წარმოება; • საქმიანი ინფორმაციის გაზიარება; • კონკრეტული სამუშაო დავალების ირგვლივ სხვადასხვა დოკუმენტაციის მომზადება, კერძოდ, შეფასების, ანგარიშგების, დროის აღრიცხვისა და ხარჯთაღრიცხვის; • კლიენტისთვის და/ან თანამშრომლისთვის ინფორმაციის პრეზენტირების მიზნით სხვებთან ერთად მუშაობა; • ინდივიდუალური და გუნდური ზემოქმედების მოხდენა; • კლიენტთან და/ან თანამშრომელთან ურთიერთობის დამყარება;
--	--	---

<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა პროგნოზირებად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • კურიკულუმით განსაზღვრული პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ნაწილის ათვისება და შესწავლა, ნასწავლი მასალის გადმოცემა, შეფასების მიღება. • ლიტერატურის და წყაროების მოძიება, დამუშავება და ანალიზი, საკუთარი სწავლის დაგეგმვა, ინფორმაციის მუდმივი განახლება, თვითგანვითარება და ცოდნის გაღრმავება.
<p>ღირებულებები</p>	<p>აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებისა და ცვალებად სიტუაციებში მათ შესაბამისად მოქმედების უნარი</p>	<p>იცნობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურისტული ბიზნესის სფეროს, წარმოდგენა აქვს სტუმარ-მასპინძლობის ძირითად პრინციპებზე, • გააჩნია პროფესიული ეთიკა, გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოვალეობები, ფუნქციები და პასუხისმგებლობა. • არის მომლიმარი, ზრდილობიანი, თავაზიანი და ყურადღებიანი; ახასიათებს ორგანიზებულობა, დისციპლინა, პუნქტუალობა და მოწესრიგებულობა. • აქვს დროის განსაზღვრის და მართვის უნარი; არის ტოლე-რანტული, აკურატული, მომთმენი და ემოციურად სტაბილური. ახასიათებს შემოქმედებითობა და ლიდერობის უნარი; • აქვს საკუთარი ქვეყნის კანონებისა და ტრადიციების პატივისცემა; ეკოლოგიური ცნობიერება. • იცავს უსაფრთხოების წესებსა და პირადი ჰიგიენის ნორმებს; მუდმივად ზრუნავს ტურის მსვლელობის ხარისხზე. • პროფესიული სტუდენტების სწავლებისას იცავს პროფესიულ ეთიკას და დარგის ფასეულობებს.